საშუალოვადიანი პრიორიტეტი	**მოსახლეობის სოციალური დაცვა**
"დასაბუთება"	ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა, ოჯახურ მზუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. სამინისტრო გამოყოფს მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სომატური/ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან თანადგომას, მათი ოჯახების სოციალურ/ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.
საშუალოვადიანი მიზანი:	პრიორიტეტის მიზანია მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების - სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვების უზრუნველყოფა რეაბილიტაციის კურსებით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების უზრუნველყოფა სარეაბილიტაციო ცენტრის მომსახურებით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის (100 წელს გადაცილებული მოქალაქეები, ახალშობილი ტყუპების ოჯახები, 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულ ან/და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ მეომართა ოჯახები) ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გაცემა; მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების (მარტოხელა დედები და მათი შვილები; ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტები) თავშესაფრით უზრუნველყოფა.
ძირითადი სამოქმედო გეგმა	მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი; მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელება.

პრიორიტეტი	**მოსახლეობის სოციალური დაცვა**
პროგრამა	**სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია.**
განხორციელების ვადები	2018 -2021 წლები.
პროგრამის ბიუჯეტი	2018 -2021 წლები - 6 852 280 ლარი. 2018 – 1 452 280 ლარი. 2019 – 1 600 000 ლარი. 2020 – 1 800 000 ლარი. 2021 – 2 000 000 ლარი.
პროგრამის მიზანი	შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება, - აუტიზმის სპექტრის დარღვევების, განვითარების ეტაპების შეფერხების მქონე და სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია.
პროგრამის აღწერა	**ქვეპროგრამა 1** - ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია - ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთთა და ძვალ-სახსროვანი სისტემის სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება (820 000 ლარი). **ქვეპროგრამა 2** – სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია - სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება (120 000 ლარი). **ქვეპროგრამა 3** - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება (27 000 ლარი). **ქვეპროგრამა 4** - ბავშვთა ადრეული განვითარება - გონებრივი განვითარების შეფერხების, დაუნის სინდრომის, მეტაბოლური დარღვევების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის დაფინანსება (233 280 ლარი).

	ქვეპროგრამა 5 -აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია --აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება(252 000 ლარი).
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	სამიზნე ჯგუფის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სარეაბილიტაციო მომსახურებით.
პრიორიტეტი	**მოსახლეობის სოციალური დაცვა**
პროგრამა	**მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.**
განხორციელების ვადები	2018 -2021 წლები.
პროგრამის ბიუჯეტი	2018 -2021 წლები - 1 120 000 ლარი. 2018 – 280 000 ლარი. 2019 – 280 000 ლარი. 2020 – 280 000 ლარი. 2021 – 280 000 ლარი.
პროგრამის მიზანი	მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
პროგრამის აღწერა	**ქვეპროგრამა 1 - 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება** - 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების (1000 ლარი) გაცემა (40 000 ლარი) **ქვეპროგრამა 2 - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება** - ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი - 2 ბავშვი 2000 ლარის, 3 ბავშვი - 3000 ლარის, 4 ბავშვი - 4000 ლარის ოდენობით (ტყუპისცალზე -1000 ლარი) და ა.შ. (150 000 ლარი) **ქვეპროგრამა 3 - 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ მეომართა დედებისა და მეუღლეების ერთჯერადი დახმარება** - დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული მეომრების დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, სულ 21 ბენეფიციარს (21 000 ლარი). **ქვეპროგრამა 4- 2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაღუპულთა და დაზარალებულთა, 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების**

	ერთჯერადი დახმარება- აგვისტოში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული სომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული 17 მეომრის, მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 3 სამხედრო მოსამსახურისა და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპული 3 მეომრის ოჯახებს - სულ 23 ბენეფიციარი - თითოეულს 3000 ლარის ოდენობით (69 000 ლარი).
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	100 წელს გადაცილებული მოქალაქეების, ახალშობილი ტყუპების ოჯახებზე, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული სომარი მოქმედებისა და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ მეომართა და 2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახებზე მატერიალური დახმარება გაწეულია.

პრიორიტეტი	**მოსახლეობის სოციალური დაცვა.**
პროგრამა	**შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და ხანდაზმულ პირთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით.**
განხორციელების ვადები	2018 -2021 წლები.
პროგრამის ბიუჯეტი	2018 -2021 წლები - 1 148 000 ლარი. 2018 – 287 000 ლარი. 2019 – 287 000 ლარი. 2020 – 287 000 ლარი. 2021 – 287 000 ლარი.
პროგრამის მიზანი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზრდილთა, ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა	**ქვეპროგრამა 1 -** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა (116 400 ლარი). **ქვეპროგრამა 2 -** სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა (120 000 ლარი). **ქვეპროგრამა 3** -შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა (50 600 ლარი)
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური პირობები გაუმჯობესებულია, გადაადგილების საშუალებების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესებულია, საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია ამაღლებულია.

პრიორიტეტი	**მოსახლეობის სოციალური დაცვა**
პროგრამა	**მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა**
განხორციელების ვადები	2018 -2021 წლები.
პროგრამის ბიუჯეტი	2018 -2021 წლები - 1 715 500 ლარი. 2018 – 428 875 ლარი. 2019 – 428 875 ლარი. 2020 – 428 875 ლარი. 2021 – 428 875 ლარი.
პროგრამის მიზანი	მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა.
პროგრამის აღწერა	**ქვეპროგრამა 1-** მარტოხელა/მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა - მარტოხელა/მიუსაფარ დედათა და ბავშვთა (25 ბენეფიციარი) თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება (155 125 ლარი). **ქვეპროგრამა 2-** ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა- ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების (50 ბენეფიციარი) თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა,

	რეაბილიტაცია, მათი და ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური დახმარება (273 750 ლარი).
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	მარტოხელა/მიუსაფარი დედები და ბავშვები, ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტები უზრუნველყოფილი არიან თავშესაფრით, უსაფრთხო გარემოთი, საჭიროებებზე მორგებული მომსახურებით, ბენეფიციართა და მათი ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური და სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

პრიორიტეტი	**მოსახლეობის სოციალური დაცვა**
პროგრამა	**ეკომიგრანტი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების შესყიდვა**
განხორციელების ვადები	2018 -2021 წლები.
პროგრამის ბიუჯეტი	2018 -2021 წლები - 12 000 000 ლარი. 2018 – 3 000 000 ლარი. 2019 – 3 000 000 ლარი. 2020 – 3 000 000 ლარი. 2021 – 3 000 000 ლარი.
პროგრამის მიზანი	ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო გარემოში ინტეგრირება.
პროგრამის აღწერა	ეკომიგრანტი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა 25 000 ლარის ფარგლებში, მათ მიერ შერჩეული უსაფრთხო საცხოვრისის შეძენის მიზნით.
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	ეკომიგრანტები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო საცხოვრებელით.